26/12/2024

MES 8 24 0001657954

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეალილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სს - ფინური საერთაშორისო სკოლა:
აიეტი კუკავა - სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი;
სალომე ოსეფაშვილი - სკოლის იურისტი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სს - ფინური საერთაშორისო სკოლა:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 16 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სს - ფინურ საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სს - ფინურ საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 ოქტომბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1147397 ბრძანების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2024 წლის 16 აგვისტოს ცენტრში შემოსულ განცხადებაში ასახული გარემოებების გამოკვლევა და ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტთან/სტანდარტებთან, მათი შესაბამისობის დადგენა.
სკოლა მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ინგლისურ ენაზე. ექსპერტის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 31 მარტის N330958 გადაწყვეტილების საფუძველზე მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 120 მოსწავლე, ხოლო ვიზიტის დროს აქტიური მოსწავლეთა რაოდენობა იყო 35.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 23 აგვისტოს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ფინეთის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმის ხელშეკრულება ზოგადი განათლების მიმართულებით თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შესახებ.
ექსპერტმა ისაუბრა 2024 წლის 16 აგვისტოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული განცხადების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მოქალაქის ორი შვილი სწავლობდა ქალაქ თბილისში არსებულ ფინურ საერთაშორისო სკოლაში. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლამ ვერ შეძლო საგანმანათლებლო სერვისების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა, იძულებული გახდა შვილები სხვა სკოლაში გადაეყვანა. მოქალაქე განცხადებაში ასევე აღნიშნავდა, რომ მან, 2023 წლის ივნისის თვეში სრულად დაფარა ორივე ბავშვის მთელი წლის სწავლის საფასური. მან მრავალჯერ მიმართა სკოლას

მეორე სემესტრის თანხის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა, უშედეგოდ. მშობლის თქმით, სკოლიდან ბოლოს მიღებული პასუხის თანახმად (2024 წლის თებერვალი) ჰპირდებოდნენ, რომ აცნობებდნენ საბოლოო პასუხს, შესაბამისად, მშობელი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სთხოვდა დახმარებოდა თანხის დაბრუნებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33^2-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „კერძო სკოლა ვალდებულია, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში).“

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33^2-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „კერძო სკოლის მიერ ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შეუსრულებლობა მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველია“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა: მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება, სკოლის ფინანსური მდგრადობა, სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის/სერვისების განხორციელების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების საკითხი და ახლად მიღებული პერსონალის კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში მიმდინარე წლის 04 აპრილს იყო მონიტორინგის ვიზიტი. 2024 წლის 09 ივლისს კი ჩატარდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილული იყო აღნიშნული წარმოების შედეგები. საბჭოს გადაწყვეტილებით, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება მონიტორინგთან დაკავშირებით. საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2024 წლის სექტემბერში ცენტრში წარმოედგინა დასკვნაში ასახული რეკომენდაციებისა და ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2024 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველეყო ოფიციალური ვებ-გვერდის ამოქმედება და მასზე ინფორმაციის განთავსება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ხარვეზი არ იყო აღმოფხვრილი. სკოლას ჰქონდა მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებული იყო ინფორმაცია ქართულ ენაზე, თუმცა, არ იყო იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებდა სწავლებას (ინგლისური ენა).

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2024 წლის 09 ივლისის საბჭოს სხდომაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა რჩევა, ჩაეტარებინა ფინანსური აუდიტი და დროულად დაეფარათ მასწავლებლებთან არსებული დავალიანებები. 2024 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია აღნიშნული რჩევების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ია ქურიძის განმარტებით, დაწესებულებამ დაფარა მასწავლებლებთან არსებული დავალიანებები, თუმცა კვლავ ერიცხებოდა იმ ორი პირის მიმართ დავალიანება, რომლებიც აღარ იყვნენ სკოლის თანამშრომლები.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებას განმცხადებლის მიმართ ჰქონდა ფინანსური დავალიანება, კერძოდ, დაწესებულებას აღნიშნული მშობლისთვის არ ჰქონდა დაბრუნებული 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის წინასწარ გადახდილი საფასური, ასევე, ექსპერტმა აღნიშნა,

რომ განმცხადებელ მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.9 პუნქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, თუ მოსწავლე გადავიდოდა სკოლიდან, მშობლის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა არ დაბრუნდებოდა.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 3.1.2.1 ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად, 3.4.1.2 და 3.6.3.4 ინდიკატორები შეფასდა „მეტწილად“ შესაბამისად, ხოლო, 3.1.2.3; 3.1.2.4; 3.4.1.6; 3.6.3.2; 3.6.3.5; 3.7.1.1; 3.7.1.2; 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3 და 4.1.2.2 ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტებმა არ გაიზიარეს სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტანდარტი 3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად იყო აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, სკოლის პოლიტიკა თანხვედრაში იყო თუ არა ფინეთის საგანმანათლებლო სისტემასთან და რა ტიპის სასკოლო ჟურნალს აწარმოებდა დაწესებულება. ასევე, როგორი იყო სკოლის შეფასების სისტემა.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ სასკოლო ჟურნალში აღირიცხებოდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს, თუმცა არ ხდებოდა იმ მოსწავლეთა დაფიქსირება, რომლებიც არ დადიოდნენ სკოლაში. მისი თქმით, აღნიშნული ელექტრონული ჟურნალი ატარებდა საკომუნიკაციო ხასიათს. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ექსპერტმა, განმარტა, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე და სკოლას არ ჰქონდა განმსაზღვრელი შეფასებები.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ ელექტრონულ ჟურნალში ხდებოდა ყოველდღიური აქტივობების გაზიარება, მას არ ჰქონდა ოფიციალური სახე და იყო ე.წ „პორტფოლიო“.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა სტატუსით ირიცხებოდა 35 მოსწავლე eschool-ის ბაზაში, ხოლო 10 მოსწავლე სკოლის ელექტრონულ ჟურნალში.
სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის, განმარტებით, სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის დროისთვის სწავლობდა 10 მოსწავლე, თუმცა, ბაზაში ირიცხებოდა 25. მისი თქმით, სხვა მოსწავლეები ზაფხულის შემდგომ, ეტაპობრივად გადავიდნენ არაავტორიზებულ სკოლებში და შესაბამისად, ვერ ითხოვდნენ მობილობას. სკოლას ჰქონდა კომუნიკაცია გადასულ მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან და ისინი უარს აცხადებდნენ სტატუსის შეჩერებაზე, რადგან სურდათ მოსწავლე დაფიქსირებულიყო ავტორიზებული სკოლის ბაზაში.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, მიიღო თუ არა სკოლამ 25 (გადასული) მოსწავლის ვაუჩერი.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ კანონმდებლობის შესაბამისად მიიღო 45 დღის ვაუჩერი.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, ოფიციალურად სად აღირიცხებოდა, რომ გადასული მოსწავლეები არ დადიოდნენ სკოლაში 45 დღის განმავლობაში, ასევე, დაინტერესდა, აღირიცხებოდა თუ არა მოქმედი მოსწავლეების დასწრება.
სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ისინი ყოველდღიურად იღებდნენ განმავითარებელ შეფასებას და იმ დღეს, როდესაც მათ არ უფიქსირდებოდათ შეფასება, ნიშნავდა იმას, რომ ისინი არ ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს. ამას გარდა, მოსწავლეებს ემსახურებოდათ ტრანსპორტი და მშობლები წინასწარ ატყობინებდნენ სკოლის წარმომადგენლებს გაცდენის შესახებ.

ქეთევან ნატროშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტად დაეზუსტებინა, ჰქონდათ თუ არა რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, სადაც მოსწავლის მშობელს ექნებოდა დამადასტურებელი მტკიცებულება, მისი შვილი ესწრებოდა თუ არა კონკრეტულ დღეს სასწავლო პროცესს.
სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის განმარტებით, სასკოლო ჟურნალს ჰქონდა განსხვავებული ფორმატი და არ იყო გამოყოფილი ცალკეული ველი გაცდენების აღრიცხვისთვის, თუმცა, მასწავლებლები თავად აღრიცხავდნენ მოსწავლეთა დასწრებას. სკოლის ადმინისტრაციულ მენეჯერს მუდმივი მიმოწერა ჰქონდა იმ მოსწავლეების მშობლებთან, რომლებიც ირიცხებოდნენ სკოლის ბაზაში, თუმცა, მშობლებთან არ იყო გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულებები. აღნიშნულ მიმოწერაში მენეჯერი უხსნიდა მშობლებს, რომ მათი შვილები ან უნდა გამოცხადებულიყვნენ სკოლაში ან შეუჩერდებოდათ სტატუსი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და დაინტერესდა, თუკი დაწესებულებას ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან, როგორ აიღო სკოლამ ვაუჩერული დაფინანსება და რატომ იყვნენ აღნიშნული მოსწავლეები eschool-ის ბაზაში.
სალომე ოსეფაშვილის განცხადებით, აღნიშნული მოსწავლეები წინა სასწავლო წელს ირიცხებოდნენ სკოლის ბაზაში, ხოლო 2024-2025 სასწავლო წელს ამოეწურათ ხელშეკრულების ვადა, თუმცა eschool-ის ბაზიდან ამორიცხვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი სკოლას არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტი განმარტება გაეკეთებინა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, რატომ მიიღო სკოლამ 2024-2025 წელს იმ მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება, რომელთა კანონიერ წარმომადგენლებთან არ ჰქონდა სკოლას გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე რატომ ირიცხებოდნენ აღნიშნული მოსწავლეები eschool-ის ბაზაში.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, მიმართა თუ არა სკოლამ პასუხისმგებელ ორგანოს eschool-ის ბაზიდან აღნიშნული მოსწავლეების ამორიცხვის მიზნით და დააბრუნეს თუ არა ვაუჩერი, რომელიც რეალურად არ ეკუთვნოდა სკოლას.
სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის, განმარტებით, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე და იმისთვის, რომ მოსწავლე არ ირიცხებოდეს ბაზაში, უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული მოსწავლის ბაზიდან ამორიცხვა ან სტატუსის შეჩერება. მისი თქმით, ბაზიდან მოსწავლის ამორიცხვის საფუძველი იყო მობილობა, ხოლო სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა გამხდარიყო მშობლის განცხადება და სხვა. მისი თქმით 2024 წლის სექტემბრის თვისთვის მსგავსი გარემოებები არ ჰქონია სკოლას, შესაბამისად არ ჰქონდათ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი, რომ აღნიშნული მოსწავლეებისთვის შეეჩერებინათ სტატუსი ან ამოერიცხათ ბაზიდან. მისი თქმით, აღნიშნული მოსწავლეები ირიცხებოდნენ სს ფინური საერთაშორისო სკოლის მოსწავლეებად, თუმცა, რეალურად, სწავლობდნენ არაავტორიზებულ სკოლებში.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, სკოლას ზემოაღნიშნული მოსწავლეები აღრიცხული ჰყოლოდა ელექტრონულ ჟურნალში, 45 დღიანი ვადის გასვლამდე და იქ აესახათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსწავლეები არ ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს.
ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომ არაავტორიზებული სკოლების შესწავლა არ იყო ცენტრის პასუხისმგებლობა, ცენტრი მოქმედებდა შემოსული განაცხადების თანახმად, თუმცა ინტერვენციის სახით, კონკრეტულ საკითხს გადასცემდნენ პასუხისმგებელ ორგანოს, შესაბამისად, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ ფლობდა ინფორმაციას არაავტორიზებული სკოლების შესახებ, ეცნობებინა ცენტრისთვის.
აქვე, ცენტრის თანამშრომელმა დასძინა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობდნენ არაავტორიზებული სკოლები, რომლებიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონის შესაბამისად ახორციელებდნენ საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. მან განმარტა, რომ საქართველოში დასაშვებია მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისთვისაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რამდენ მოსწავლეს შეუჩერდა სტატუსი და რამდენი გადავიდა მობილობით.
სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, განმარტა, რომ ოთხი მოსწავლე გადავიდა და სამი მოსწავლის მობილობა იყო დადასტურებული, თუმცა არ იყვნენ ჩარიცხული სხვა სკოლაში, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში შეჩერებული ჰქონდათ სტატუსი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ აღნიშნული მოსწავლეები.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული მოსწავლეები იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რომელ სკოლებს იხსენიებდა, როგორც არაავტორიზებულს. ასევე, როდის იწყებოდა ზამთრის არდადეგები სკოლაში.
სკოლის იურისტის თქმით, მსგავს ერთ სკოლაზე ჰქონდათ ინფორმაცია, რომელიც ფუნქციონირებდა „ედუჰაბ თბილისის“ სახელით, აღნიშნული სკოლის დირექტორი იყო სს ფინური საერთაშორისო სკოლის ყოფილი მასწავლებელი და ამ სკოლაში მყოფი სხვა მასწავლებლებიც წარსულში წარმოადგენდნენ ფინურ საერთაშორისო სკოლას. მისი თქმით, სკოლა იყენებდა სს ფინური სართაშორისო სკოლის იდენტურ სწავლის მეთოდებს და აღნიშნული სკოლის მშობლების განმარტებით, ზემოაღნიშნული დაწესებულება აღიქმებოდა, როგორც ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებად. სკოლის იურისტის განმარტებით, ზამთრის არდადეგები სკოლაში იწყებოდა 20 დეკემბრიდან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებამ ცენტრში არ წარმოადგინა წინა საბჭოს სხდომაზე მიღებული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დაინტერესდა, რა ვითარება იყო სახელფასო დავალიანებებსა და მშობლებისთვის დასაბრუნებელ თანხებთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, აიეტი კუკავას, განმარტებით, სკოლა ყურადღებას აქცევდა ხარისხს, შესაბამისად მუდმივ გადამზადებას გადიოდნენ მასწავლებლები და ჰქონდათ საკმაოდ კარგი ანაზღაურება, ამის გამო კი სკოლას შეექმნა ფინანსური პრობლემები, რადგან, აღნიშნული მასწავლებლები მიზანმიმართულად ულახავდნენ სკოლას რეპუტაციას და სურდათ მოსწავლეების გადაბირება. სკოლას ჰყავდა ახალი მასწავლებლები, რომლებიც გადიოდნენ სხვადასხვა სახის ტრენინგს და ემსახურებოდნენ 10 მოსწავლეს. ფინელი პარტნიორობის მხარდაჭერით კი აღმოფხვრიდნენ იმ ხარვეზებსაც, რომლებიც ჰქონდა სკოლას. მისი განმარტებით, ფინური სკოლის მოსწავლეების განათლების ხარისხი იყო საკმაოდ მაღალი და მას უკავშირდებოდნენ სხვა სკოლის წარმომადგენლები სამომავლო თანამშრომლობის სურვილით.
საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, დაინტერესდა, რა თემაზე ჩაატარა დაწესებულებამ ბოლო ტრენინგი.
სკოლის დირექტორის განმარტებით, მასწავლებლებს ტრენინგი ჩაუტარდათ ხარისხის უზრუნველყოფის, გაკვეთილის დაგეგმვასა და კურიკულუმების დახვეწის მიმართულებით.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ოფიციალურად დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ახორციელებდნენ ფინურ საერთაშორისო პროგრამას.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველი მონიტორინგის ფარგლებში სკოლას მიეცა რეკომენდაციები, რომლის შესრულების ვადად განისაზღვრა 2025 წლის აპრილი, შესაბამისად, მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტებს არ შეუფასებიათ ის, რისი

რეკომენდაციაც სკოლას მიღებული ჰქონდა, რადგან არ იყო დამდგარი შესრულების ვადები. მისი თქმით, სკოლამ განმარტა, რომ ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ ფინურ ორგანიზაციასთან და ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება. ამ მიზნით, ჩამოსულები იყვნენ ფინელი პარტნიორები. თუმცა, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ექსპერტებისთვის იყო უცნობი, მისი თქმით, 2024 წლის სექტემბრიდან ყველა მასწავლებელი იყო ახალი დასაქმებული, შესაბამისად, ვიზიტის დროს ვერ დადგინდა, იყო თუ არა მათი კვალიფიკაცია ფინური მხარის მიერ შემოწმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ თუ სკოლა ახორციელებდა საერთაშორისო პროგრამას, უნდა ჰქონოდა საერთაშორისო პროგრამის განხორციელების ოფიციალური უფლება, ასევე, პროგრამას უნდა ჰქონოდა საერთაშორისო აკრედიტაცია და პერიოდულად უნდა ხდებოდეს რეაკრედიტაცია. შესაბამისად, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, ხორციელდებოდა თუ არა მსგავსი პროცესი დაწესებულებაში.

აქვე, საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, იყო თუ არა ერთი და იგივე ორგანიზაცია ის, ვინც ამზადებდა მასწავლებლებს და ის, რომლისგანაც სკოლას მიღებული ჰქონდა ფინური საერთაშორისო პროგრამის განხორციელების უფლება.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა ფინურ ორგანიზაცია „ედუ კლასტერთან“, ასევე, ფინეთის განათლების სამინისტროსგან ჰქონდათ მხარდაჭერის წერილი, რომელიც ადასტურებდა, რომ სს ფინურ საერთაშორისო სკოლას ჰქონდა უფლება, განეხორციელებინა მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამა. კურიკულუმი შემუშავებული იყო „პოლარ პარტნერსის“ მიერ, რომელიც იყო სკოლის პარტნიორი წარსულში და მისგან ოფიციალურად იყო შეძენილი აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით, ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთთან თანამშრომლობდა ფინეთში და შექმნილი იყო ერთიანი კურიკულუმი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხორციელდებოდა თუ არა ფინური მხრიდან პროგრამის მონიტორინგი.

სალომე ოსეფაშვილის განმარტებით, ისინი ატარებდნენ პერიოდულ აუდიტს და აფასებდნენ ხარისხს.

ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გაფორმებული მემორანდუმი იყო ზოგადი ხასიათის, მასში მოცემული იყო ზოგადი დებულებები, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ დაწესებულებას თუ პირს შეეძლო დაეარსებინა სკოლა. კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ჩანაწერში მითითებული იყო, რომ ფინური მხარის თანხმობა არ ათავისუფლებდა დაწესებულებას ადგილობრივი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისგან.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ წინა საბჭოს სხდომის შემდგომ.

სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებისთვის ხარისხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და მისი შენარჩუნების მიზნით საკმაოდ დიდ თანხებს გასცემდნენ. რაც შეეხებოდა საბჭოს რეკომენდაციებს, მისი თქმით, მათ შეცვალეს სკოლის ბიუჯეტი, რის შედეგადაც გაუმჯობესდა სკოლის ფინანსური მდგომარეობა, დაფარეს დავალიანება მასწავლებლების ძირითად ნაწილთან და დასაფარი დავალიანება დარჩენილი ჰქონდათ მხოლოდ ორ მასწავლებელთან, ასევე სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, შეიცვალა სკოლის მართვის გეგმა. მისი თქმით, სამომავლოდ აპირებდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას და სკოლის გაფართოვებას, თუმცა, სკოლისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდნენ კონკურენტები, რომლებიც ცდილობდნენ სს ფინური საერთაშორისო სკოლისთვის სახელის შელახვას.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, შეეფასებინა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ საგრძნობლად იკლებდა მოსწავლეთა რაოდენობა სკოლაში.

სკოლის დირექტორის, აიეტი კუკავას, განმარტებით, ყოველწლიურად იმაზე 30%-ით მეტი მოსწავლე მოდიოდა, ვიდრე განსაზღვრული ჰყავდა სკოლას. მისი თქმით, სკოლის ყოფილ ადმინისტრაციას ბოლო 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი ჰქონდა ახალი სკოლის დაარსება და მიზანმიმართულად ხდებოდა მოსწავლეთა გადაბირება და შესაბამისად, მათი მიღების რაოდენობის შემცირება.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა არაფორმალური განათლების მიმართულებით 18 წრეს და დაინტერესდა, ფუნქციონირებდა თუ არა აღნიშნული წრეები.
სკოლის დირექტორის განმარტებით, ფუნქციონირებდა ჩინურის, ესპანურის, ხელოვნებისა და ჭადრაკის წრეები.
საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია, დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ სკოლის ფინანსურ დავალიანებებზე პასუხისმგებლობას იღებდნენ ფინელი პარტნიორები.
სკოლის დირექტორის განმარტებით, მიმდინარე პერიოდში ინვესტორთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება, ვინაიდან იგი აკვირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას ჰყავდა სხვა ინვესტორებიც, მათ შორის უნივერსიტეტები და სურდათ სკოლის გაფართოება.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ საქართველოსა და ფინეთის განათლების სამინისტროებს შორის გაფორმებულ მემორანდუმში არსებობდა ჩანაწერი, რომელშიც სკოლამ უნდა დააკმაყოფილოს და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა ნორმა. მისი განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ დებულებებს არ სჭირდებოდა ფინანსები, მათ შორის მოსწავლეთა აღრიცხვისთვის და დაინტერესდა, რატომ ვერ ასრულებდა სკოლა ამ პირობას.
სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის, განმარტებით, პროგრამულ ნაწილში ქართული ენისა და ჩვენი საქართველოს მიმართულებით ასრულებდნენ საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ დებულებებს. მისი თქმით, ფინური კურიკულუმები ვერ მოდიოდა თანხვედრაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და აღნიშნულის გამოსწორების მიზნით დაწყებული ჰქონდათ მუშაობა. აქვე, სკოლის დირექტორმა, დასძინა, რომ დაწესებულებისთვის პრიორიტეტი იყო კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა და გარკვეულ საკითხებს მაქსიმალურად მოარგებდნენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სს ფინური საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:20
დასრულების დრო - 17:47

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -10

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა, რომ, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი ხარვეზები, დასკვნის პროექტში ასახული

გარემოებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ ორი სტანდარტი იყო შეუსაბამო მიიჩნია, რომ დაწესებულება ვერ შეძლებდა მოსწავლეებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას. მისი მითითებით, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად უნდა განსაზღვრულიყო პირველი სემესტრის დასრულების თარიღი (20 დეკემბერი).

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას (ს/კ: 404557234) გაუუქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა, 2024 წლის 20 დეკემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, 17:55 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა